ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2023 წლის 27 იანვრის სხდომის

ოქმი #1

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში 2023 წლის 27 იანვარს შედგა თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 29 წევრი, სხდომას ესწრებოდა 18 წევრი. სხდომას ესწრებოდნენ დეკანის მოადგილე, ასოცირებული პროფესორი ვ.ტრაპაიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი, ასისტენტ პროფესორი გ.ბრეგვაძე, და გეოლოგიის დეპარტამენტის უფროსი, ასოცირებული პროფესორი გურამ ქუთელია.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

დღის წესრიგი:

1. პროგრამული ცვლილებების დამტკიცება;
2. მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის განხილვა;
3. ბაკალავრიატის სან დიეგო - საქართველოს ანკეტა-კითხვარის განხილვა;
4. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის პირველი საკითხის - პროგრამული ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა, ასისტენტ პროფესორმა გიორგი ბრეგვაძემ. ცვლილებები შეეხო საბაკალავრო პროგრამებს: მათემატიკა, ქიმია, კომპიუტერული მეცნიერება, კომპიუტერული მეცნიერება (ინგლისურენოვანი), გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია, ბიოლოგია, ეკოლოგია და გეოლოგია; ინფორმაციული ტექნოლოგიების, გეოლოგიის სამაგისტრო პროგრამებს, ასევე სამაგისტრო პროგრამას - გეომორფოლოგია, კარტოგრაფია და ლანდშაფტური დაგეგმარება; ქიმიის სადოქტორო პროგრამას. კერძოდ, ცვლილებები შეეხო სილაბუსებს, სწავლის შედეგების ფორმულირებას, ლექტორების ცვლილებას (ზოგიერთი მათგანის გარდაცვალების გამო), წინაპირობებს, საკონტაქტო საათების განაწილებასა და სალექციო თემებს (იხ. დანართი 1).

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა დ.ძიძიგურმა, ი.ჩიკვაიძემ, ნ.დორეულმა, ნ.კოშორიძემ, ნ.შათაშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი პროგრამული ცვლილებების დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: დამტკიცდეს შემოთავაზებული პროგრამული ცვლილებები (იხ. დანართი 1).

2. **მოისმინეს:** ინფორმაცია დღის წესრიგის მეორე საკითხის - მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა აღნიშნა, რომ თსუ მიუახლოვდა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრულ სტუდენტთა ადგილების ზღვრულ ოდენობას. აღნიშნულზე დაყრდნობით, სამაგისტრო საფეხურის 80-ზე მეტ პროგრამაზე ამ ეტაპზე შესაძლებელია დაახლოებით 256 ადგილის გამოცხადება. მოქმედი სამართლებრივი რეგულაციების მიხედვით, 2023-2024 სასწავლო წლის მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარში თსუ-ს შეუძლია ასახოს ყველა მოქმედი სამაგისტრო პროგრამა და მათზე გამოაცხადოს მიღება მხოლოდ ზემოაღნიშნული კვოტის ფარგლებში - მაქსიმუმ 256 ადგილი. ეს ოდენობა შესაძლებელია დაკორექტირდეს 1 ივნისიდან 15 ივნისამდე. კორექტირების საფუძველი შესაძლოა იყოს მიმდინარე წლის აპრილამდე დასრულებული გარე მობილობის შედეგები, ასევე სტუდენტთა მიერ სტატუსის აღდგენის, შეჩერების ან შეწყვეტის მაჩვენებლები.
აღნიშნული ინფორმაციის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს შესთავაზა 3 ადგილის გამოცხადება თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე, ასევე შესთავაზა დაესახელებინათ სასურველი კვოტები პროგრამების მიხედვით, რასაც გამოიყენებდნენ 1-15 ივნისს, კვოტების დაკორექტირების დროს.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ.ხაჩიძემ, ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ, ნ.კოშორიძემ, ი.ჩიკვაიძემ.

შეთავაზებული კვოტების მიხედვით მოხდა ანკეტა-კითხვარის შევსება (იხ. დანართი 3). დანართის ბოლო სვეტში ის რიცხვებია, რომლებსაც ფაკულტეტი ითხოვს, როგორც კი კვოტების დაკორექტირების საშუალება მოგვეცემა. კერძოდ, 1 ივნისიდან 15 ივნისამდე, ფაკულტეტზე გარე მობილობისას დარჩენილი ვაკანტური ადგილების და სტუდენტების სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის გამო გამონთავისუფლებული ადგილების ხარჯზე,

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი მაგისტრატურის ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: თითოეულ სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტების მისაღები რაოდენობა განისაზღვროს 3-3 სტუდენტით. ამ რიცხვების კორექტირება მოხდეს 1 ივნისიდან 15 ივნისამდე ფაკულტეტზე გარე მობილობისას დარჩენილი ვაკანტური ადგილების და სტუდენტების სტატუსის შეჩერების ან შეწყვეტის გამო გამონთავისუფლებული ადგილების ხარჯზე, თანდართული ცხრილის შესაბამისად (იხ. დანართი 3).

3. მოისმინეს: ინფორმაცია დღის წესრიგის მესამე საკითხის - ბაკალავრიატის სან დიეგო - საქართველოს ანკეტა-კითხვარის შესახებ. ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა აღნიშნა, რომ სან დიეგოს უნივერსიტეტი კვლავ გააგრძელებს კომპიუტერული მეცნიერების პროგრამას ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. შემდეგ მან პროფესორ მ.ხაჩიძეს გადასცა სიტყვა. ქ-მა მანანამ განმარტება გააკეთა კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტზე მოქმედ საბაკალავრო პროგრამებზე. ამასთან, აღნიშნა, რომ კურსდამთავრებულები მიიღებენ როგორც თსუ-ის, ისე სან დიეგოს უნივერსიტეტის დიპლომს.

შემდეგ ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს გააცნო ანკეტა-კითხვარი და კომპეტენციის ზღვრები ჩასაბარებელი საგნების მიხედვით.

აზრი გამოთქვეს: პროფესორებმა მ.ხაჩიძემ, ნ.შათაშვილმა, ი.ხუციშვილმა, ო.ფურთუხიამ.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ბაკალავრიატის სან დიეგო - საქართველოს ანკეტა-კითხვარის დამტკიცების შესახებ.

კენჭისყრის შედეგები: დამტკიცებულია ერთხმად.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭომ დაამტკიცა ბაკალავრიატის სან დიეგო - საქართველოს ანკეტა-კითხვარი (იხ. დანართი 2).

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი